ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №201

12 ოქტომბერი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 მარტის N53 ბრძანებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული, გამოუყენებელი და უვარგისად ქცეული ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“ ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

1. შეტანილი იქნას საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 მარტის N53 ბრძანებაში შემდეგი ცვლილება და დამატება:

ბრძანებით დამტკიცებული მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია ჩატარდეს შემდეგ ტერიტორიულ ორგანოებში:

ა) ხევის ტერიტორიული ორგანო: ხევის ბიბლიოთეკა, ბჟოლიეთის ბიბლიოთეკა.

ბ) ამაღლების ტერიტორიული ორგანო: ამაღლების ბიბლიოთეკა.

გ) გოგოლესუბნის ტერიტორიული ორგანო: გოგოლესუბნის ბიბლიოთეკა.

დ) ჯვარცხმის ტერიტორიული ორგანო: ჯვარცხმის ბიბლიოთეკა.

ე) ქვენობნის ტერიტორიული ორგანო: ქვენობნის ბიბლიოთეკა.

ვ) ერკეთის ტერიტორიული ორგანო: ერკეთის ბიბლიოთეკა, ქვემოერკეთის ბიბლიოთეკა.

ზ) დაბლაციხის ტერიტორიული ორგანო: დაბლაციხის ბიბლიოთეკა.

2. ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3.

კომისიამ მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტაცია.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე